

# არსენალი



№ 13 (56), 27 ივნისი - 10 ივლისი, 2008. „კვირის პალიცა“. სპეცდრო-ანალიტიკური ჟურნალი. ფასი 1,5 ლარი

**უღბრატანაგოდროვა  
სანიპერული შაშხანა  
ქართული  
კავსრაზმისათვის**

**საქართველოს  
სანაირო დაცვის  
ახალი კაბარღა**

1425  
2008

**VENI, VIDI, VICI...**

**„სტრაიკოლი“  
თავაში უფროსებისათვის**

**როგორ დავიცვათ  
დამრტყმელი ნაღებებისაგან  
ქართული ბიჭები არაჟები**

**სისხლის ფასად  
შეკანილი  
გამოცდილება**





როგორ  
დავიხვავთ  
ქართულდროშანი  
„პაპიკაბი“  
ერაყის გზებზე

6



პოსნიგალი  
როგელჯეს  
არც ერთი  
სახელმწიფო არ  
იფორდა უარს

9



„სზრანიკოლი“  
თავაუი  
უზროსეგისათვის

16

საპაბრულო  
კაბარლა  
P-24 „სოსუი“

26



ქართუელის  
უეკენილი  
რუსული  
ბირთუული  
უარი

30



გაგელიერეი  
„უქონელთა“  
უფილრესი  
ორღანი

43

# სარჩევი

## ქალაქოსკოპი

4 უცხოური ამბები

## საერთო

6 როგორ დავიცვათ ქართულდროშიანი „ჰამერები“ ერაყის გზებზე „დამრტყმელი ბირთვებისგან“

## რეპორაჟი

9 ჰოსპიტალი რომელზეც არც ერთი წამყვანი სახელმწიფოს არმია არ იტყოდა უარს

## სამხედრო სინალები

14 ამერიკელი ჯონგრესმენები მომავლის ცეცხლსასროლ იარაღს გაეცნენ

## გაბათება

16 „სტრაიბოლი“ თამაში უფროსებისათვის

## სამსამსახურები

19 როგორ იცავენ ჰრეზიდენტებს

## პროფსინოვალა

22 სისხლის ფასად შექმნილი გამოცდილება

## იარაღი

26 საპატრულო კატარა P-24 „სოხუმი“

## ეპოპოს რისხვა

30 ქართველის შექმნილი რუსული ბირთვული ფარი

## ომაგის მსოფლიო ისტორია

37 ავატერიის როლი შუა საუკუნეებში

## გამოჩენილი მხარეთმთავრები

40 VENI, VIDI, VICI

## ლენინები და მიტაი

43 ტამპლიერები - „უქონელთა“ უმდიდრესი ორდენი

## ფლოტი

47 ძველი ჩინეთის ფლოტის ისტორია

## ომაგოვლიანი

50 ნანობი-უცნობი ყარაბაღის ომი

## კრისპორტი

53 არსენალკორდი

## „არსენალის“ იარაღის მალაზია

54 OM 50 Nemesis - მსხვილკალიბრისანი შვეიცარიული სნაიპერული შაშხანა

# რედაქციის სპეტი

ცხელი დღეების დადგომის-თანავე დაძაბულობამ კონფლიქტის ზონებში „დუღილის ტემპერატურას“ მიაღწია.

ისერიან ცხინვალთან, ეზაფე-ბიან აფხაზეთში... და საქართველოს ამ ორივე კონფლიქტურ ზონაში რუსი „ციხეფრანგუტიანები“ უკვე აშკარად ემხრობიან კონფლიქტის მონაწილე ერთ კონკრეტულ მხარეს – სეპარატისტულ სოხუმსა და ცხინვალს.

რუსი „ციხეფრანგუტიანების“ პოზიცია არც ადრე ყოფილა უცნობი, მაგრამ ბოლო მოვლენებმა ყოველგვარი ეჭვი გაფანტა.

ოფიციალურმა თბილისმა უკვე შეიტანა განცხადება დსი-ის წევრ ქვეყნებში, რომელშიც მოითხოვს შეჩერდეს კოლექტიური უსაფრთხოების სამშვიდობო ძალების მოქმედება აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში...

ირაკლი ალადაშვილი  
ბიორგი პრომოციონი

## ყურადღება!

გამოიწერეთ

„არსენალი“

და მიიღეთ შინ,

თვეში ორჯერ!

ტელ: 42-43-40;

38-26-73

რედაქციის დაუითხავად მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია

ყურნალ „არსენალის“ ძველი ნომრების შექმნა შეგიძლიათ რედაქციაში

გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება ©

რედაქციის მისამართი: თბილისი, იოსებოძის ქ. №49.

ტელ: 38-37-47

email: arsenali@kvispalitra.com

კვირის პალიტრის თვეში  
პარლამენტული  
ინფორმაციის

82098

# ბრიტანეთის ჯარები ახალ „ქალაქურ“ ჯავშანმანქანებს მიიღებენ



ბრიტანეთის ჯარები აღინათს და ერაყში მიიღებენ ახალ „ქალაქურ“ საბრძოლო ჯავშანმანქანა „კუგუარებს“ RIDGBACK-ის მოდერნიზებულ ვარიანტში და საბრძოლო ფორმულით 4X4-ზე, დიდი ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტროს მიერ შეკვეთილი 157 „კუგუარი“ აღიჭურვება დამატებითი ჯავშნით, შეიარაღებით, კავშირის სისტემებითა და რადიოელექტრონული ჩაშლის საშუალებებით. ჯავშანმანქანებს, რომელთაც ამერიკული კომპანია FORCE PROTECTION-ი უშვებს, მოდერნიზაცია ჩატარდება დიდ ბრიტანეთში ჩატანის შემდეგ. ლონდონის უკვე ჰყავს ასზე მეტი „კუგუარი“ საბრძოლო ფორმულით 6X6-ზე, რომლებიც დიდი ბრიტანეთის შეიარაღებული ძალების შეიარაღებაში შევიდა „მასტიფის“ სახელწოდებით. ისინი განსხვავდებიან ახალი „კუგუარებისგან“ დიდი მასაბარბიტული მასსაბარბიტული და უპირველესად გამოიყენება ქალაქურად. სულ დიდი ბრიტანეთის ჯარებისათვის ერაყსა და აფღანეთში ამ დროისათვის შეკვეთილია სხვადასხვა მოდიფიკაციის 600-ზე მეტი ჯავშანმანქანა, რომლებიც შეავსებენ ჯავშანმანქანა „ვიკინგების“, „ბულოდოგების“, „ვექტორებისა“ და „სნატების“ არსებულ პარკს. „კუგუარი“ შემუშავებულია აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს პროგრამა MRAP (MINE RESISTANT AMBUSH PROTECTED)-ის ფარგლებში და აქვს გაძლიერებული ნაღმსაწინააღმდეგო დაცვა, ასევე V-სებური ფსკერი, რომელიც ეკიპაჟისგან აფეთქების ტალღას ვანჯავს.

# კონტაბონმა ახალი სატრანსპორტო თვითმფრინავები შეუქმნა

კომპანია „ლოკჰიდ მარტინი“ აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების სპეციალური ოპერაციების ძალებისათვის 6 სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავი HC/MC-130J-ებს ააგებს. კონტრაქტის ღირებულება 470 მლნ დოლარია, აქედან 75 მლნ დოლარს მიმდინარე ფინანსურ წელს „ლოკჰიდ მარტინი“ საჭირო მასალების შესაძენად მიიღებს. თანხის მეორე ნაწილი გათვალისწინებულია 2009 წლის ფინანსური წლის თავდაცვის ბიუჯეტში. „ლოკჰიდ მარტინის“ გარაუდით, შეკვეთა 115 თვითმფრინავამდე გაიზრდება. ვერჯერობით კი აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების სპეციალური ოპერაციების ძალებს მიეწოდებათ 68 ერთეული HC/MC-130J-ი, რათა შეიარაღებული მოსასხენელი MC-130E, MC-130P და HC-130P-ები შეცვალონ. გარდა ამისა, 10 ახალი თვითმფრინავი სპეცრაზმის შეიარაღებაში 2012 წელს შევა. კონსტრუქტორების თქმით, HC/MC-130J KC-130J-ისგან იხსნება დასატვირთ-განსატვირთ აპარელსა და ჰაერში საწვავის გასამართ სისტემას, HC-130H-ისგან – თვალთვალის ელექტრონიკა, კურ და ინფრარითვალ სისტემებს, MC-130H-ისგან კი გაძლიერებული კონსტრუქციის ფრთებს. გარდა ამისა, თვითმფრინავი აღიჭურვება საბრძოლო სისტემების მართვის ახალი პულტით.



# რილს ჯავშანტექნიკა 1 ევროდ მიჰყიდეს

ესპანეთის მთავრობამ სიმბოლურ ფასად – 1 ევროდ მიჰყიდა ჩილეს ბრიტანული წარმოების 16-მუსულუხიანი ჯავშანმანქანა FV-101 SCORPION-ი. „სკორპიონები“ შეავსებენ ჩილეს საზღვაო ქვეითთა 29 „სკორპიონისგან“ შემდგარ პარკს. ჯავშანმანქანები FV-101 SCORPION-ი, რომლებიც ასევე მიეკუთვნება მსუბუქი სადაზვერუო ტანკების კატეგორიას, ესპანეთის საზღვაო ქვეითთა შეიარაღებაში იყო. ისინი 1982 წელს იყიდეს, ფოლკლენდის კუნძულებზე დიდი ბრიტანეთის შეიარაღებული ძალების ოპერაციის შემდეგ, სადაც „სკორპიონმა“ თავისი მაღალეფექტურობა გამოავლინა. 1990 წელს ესპანეთის ჯავშანმანქანების FV-101 SCORPION-ის პარკმა მოდერნიზაცია გაიარა, რომლის შემდეგ მანქანა აღიჭურვა ახალი დიზელის ძრავებით, ლაზერული მანიძოშობებითა და ღამის ხედვის ხელსაწყოებით. მიუხედავად ამისა, 2004 წელს „სკორპიონები“ მოხსნეს შეიარაღებიდან და შეინახეს. ამჟამინდური ჯავშანმანქანა FV-101 SCORPION-ი ალუმინის შენადნობის კორპუსითა და კომპურით სულ 8 ტონას იწონის. ის შეიარაღებულია 76-მილიმეტრიანი ტექნიკითა და 12,7მმ კალიბრის ტყვიამურქვეით.



FV-101 SCORPION-ი ალუმინის შენადნობის კორპუსითა და კომპურით სულ 8 ტონას იწონის. ის შეიარაღებულია 76-მილიმეტრიანი ტექნიკითა და 12,7მმ კალიბრის ტყვიამურქვეით.

## ისრაელი ვაშინგტონს სასწავლო თვითმფრინავებს სთხოვს



აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო თანამშრომლობის სამმართველომ (DSCA) კონგრესს აუწყა, რომ ისრაელი 25 სასწავლო-საწვინი თვითმფრინავს T-6A TEXAN II-ს ითხოვს. მომავალი კონტრაქტის ღირებულება 190 მლნ დოლარს შეადგენს. თვითმფრინავების პირველი პარტიის მიწოდება 2009 წლის დამდეგს იგეგმება. ისრაელის სამხედრო-საჰაერო ძალებს ახალი ტექნიკა სჭირდება არსებული თვითმფრინავი CM-170 ZUKIT-ების პარკის შესაცვლელად, რომლებმაც თავიანთი რესურსი ამოწურეს და მათი მომსახურება უკვე საკმაოდ ძვირი ღირს. გარდა ამისა, T-6A TEXAN II-ებზე გადასვლით 66%-მდე საწვავი დაიზოგება. ამჟამად T6A TEXAN II-ს იყენებენ როგორც აშშ-ის სამხედრო-საჰაერო

და სამხედრო-საზღვო, ასევე საბრძოლვეო სამხედრო-საჰაერო ძალები პილოტების დასწავლით მომზადებისათვის. გარდა ამისა, ამ ტიპის თვითმფრინავები ჰყავს კანადაში ნატოს საზოგადოებრივ მომზადების ცენტრს. ორადგილიანი T-6A TEXAN II-ს კომპანია RAYTHEONი ავებს. აღჭურვილია ერთი 1100 ც.ხ.ი-იანი ტურბოპროპულსორი ძრავით და შეუძლია საათში 500 კილომეტრზე მეტი სიჩქარის განვითარება. აღჭურვათი თვითმფრინავის მასა 3 ტონას შეადგენს, მოქმედების რადიუსი – 1660 კილომეტრს, პრაქტიკული ჭერი – 9450 მეტრს. ერთი T-6A TEXAN II-ი დაახლოებით 4,3 მლნ დოლარი ღირს.

## სამეფო სამხედრო-საჰაერო ძალების გამანადგურებელი ჩამოვარდა

ინგლისის ცენტრში, საგრაფო რატელნში, 16 ივნისს სამეფო სამხედრო-საჰაერო ძალების გამანადგურებელი HARRIER GR7 ჩამოვარდა. კატასტროფამდე რამდენიმე წნით ადრე პილოტმა მოასწრო კატაპულტრება. ის ამჟამად ჰოსპიტალიზებულია. ინჟინრების მიწაზე მსხვერპლისა და ავიაკატასტროფის მიზეზების შესახებ არ ახმაურობენ. HARRIER GR7 ერთადგილიანი მრავალმიზნობრივი სამხედრო თვითმფრინავია ფრტაკალური აფრენის შესაძლებლობით. მისი გამოყენება შეიძლება როგორც სამხედრო ბაზებში, ასევე ავიამზიდებზეც.



## აშშ-ის არმია ახალი საღაზვიერო აეროსტატები შეუკვეთა

კომპანია RAYTHEON-მა კონტრაქტი გააფორმა აშშ-ის არმიასთან საღაზვიერო აეროსტატული კომპლექსების RAID (RAPID AEROSTAT INITIAL DEPLOYMENT)-ის დამატებითი მიწოდების შესახებ. შეკვეთის ღირებულება 86,6 მლნ დოლარს შეადგენს. აეროსტატების შესყიდვა ზდება პროგრამა BETSS (BASE EXPEDITIONARY TARGETING AND SURVEILLANCE SYSTEM)-ის ფარგლებში, რომლის მიზანია ერაყში დისლოცირებული აშშ-ის ჯარების აღჭურვა სისტემატური თვალთვალისა და მზანაწერების სისტემებით. კონტრაქტის მიხედვით გათვალისწინებული სამუშაოები ჩატარდება RAYTHEON-ის საწარმოებში. საღაზვიერო აეროსტატებს ინტენსიურად იყენებს აშშ-ის არმია ერაყში მიწისზედა მიზნების აღმოსაჩენად და გამოსაცნობად. მათი მოქმედების სიშორე 12 კილომეტრს აღწევს. კომპლექს RAID-ის შემადგენლობაში შედის მისამბელი აეროსტატი საღაზვიერო აპარატურის კომპლექტით, მართვის მიწისზედა პუნქტი და საბრძოლო ქვედანაყოფებისთვის მიმღები ტრენინგალიბი. კომპლექსი განთავსდება მისამბელიანი ავტომობილ HMMWV-ის ბაზაზე. საბორტე აპარატურაში შედის ოპტიკური და ინფრარითელი კამერები და ლაზერული მანიძომზომი. RAID-ის მიწისზედა მართვის პუნქტი აღჭურვილია გამოსახულებისა და ვიდეოინფორმაციის შეკრების სისტემებით, ასევე გარემომზამრებლებისთვის მონაცემთა გადასაცემი აპარატურით.



# როგორ ღაპინავათ ქართულდროშანი „ჰაპერები“ ერაყის გზებზე „ღაპერული ბირთვებისგან“



ერაყში საბრძოლო ვითარებაში ქართული სამხედრო კონტინგენტის სამი სამხედრო მოსამხაზურე დაიღუპა.

ბოლო ტრავიკული შემთხვევა ჩეკ-პინტის დაბომბვის დრო მოხდა, 4 ივნისს, მანამდე კი 2 მაისს ქლვარის საპატრულო ბაზიდან 1,5კმ-ში ქართულეკიპაიან „ჰაპერს“ გვერდით მიმართული მოქმედების ნაღმი მოხვდა, რამაც ორი ქართველი სამხედრო შეიწირა.

„არსენალის“ ერთ-ერთი ნომერში დაწერილებით ვუწრდით იმ თავდასხმაზე, რომლის შემსწრეც ამ სტატიის ავტორი იყო, როდესაც ერაყული ქალაქის ან-ნურმინის ახლოს ჩენი კოლონის პირველ „ჰაპერს“ მარჯვენა მხრიდან ასევე მიმართული მოქმედების ნაღმი მოხვდა.

საბედნიეროდ, მსხვერპლს გადაურჩით (მინქანში მსხლიონი მსხუეუად დაიჭრენ), ასევე როგორც სხვა ინციდენტების დროს.

სიმართლე რომ ითქვას, ჩვენს „ჰაპერებზე“ თავდასხმებს ხშირად არ ახმაურებენ. არადა წლის დასაწყისიდან ხუთჯერაინ „ჰაპერებს“ შეიდაჯერ მიინც დაესხნენ თავს.

6 აპრილის თავდასხმის დროს მიმართული მოქმედების ნაღმი მარჯვენა

## ქართველ სამხედროებს ერაყში ყველაზე დიდი საერთო შეჯავშნული „ჰაპერებით“ გადაადგილებიას ემუქრება

მხრიდან დააზიანა კაბინაში მსხლიონი, რომლებმაც სხვადასხვა სახის ჭრილობები მიიღეს (მეტყვიამფრქვევე მიძიდე დაიჭრა ფეხში).

როგორც ხედავთ, ერაყში ქართველ სამხედროებზე თავდასხმა, ძირითადად, მათი საპატრულო ბაზების გარეთ „ჰაპერების“ კოლონებით გადაადგილების დროს ხდება.

ერაყში ქართული სამხედრო კონტინგენტი (რომელიც ელ-კუთში, ქლვარსა და ბაღდადშია განთავსებული) 200-მდე M1151 მოდიფიკაციის „ჰაპერს“ იყენებს.

ეს „ჰაპერის“ ერთ-ერთი ბოლო და გაცილებით (ძველ მოდიფიკაციებთან შედარებით) კარგად შეჯავშნული და დაცული ვარიანტია. იგი აღჭურვილია სითბური ზაფანგის სისტემამ „რაინით“ და რადიოელექტრონიკა ჩახშობის სისტემით „სიფონი“. საღონზე გარედან დამაგრებულია ალუმინის ჯავშნის პანელები, ხოლო ფანგრებში სქელი ჯავშან-მინებია ჩახშული.

მოუხედავად დაცვის ასეთი ზომებისა, შეჯავშნული „ჰაპერები“ ვერ უძლებენ ტერორისტების EFP ტიპის ნაღმების აფეთქებებს, რაც ქართულ „ჰაპერებზე“ თავდასხმებზე (6 აპრილი, 2 მაისი, 20 მაისი) ცხადყო. სამივე შემთხვევაში EFP-ის აფეთქებისას წარმოქმნილმა ნაშენერეგებმა გაანგრა „ჰაპერის“ საღონის ჯავშანი...

რას წარმოადგენს EFP ტიპის ნაღმი? მისი ქართული შესატყვისი იქნებოდა „დამრტყმელი ბირთვი“.

სამხედრო საკითხებით დაინტერესებულებმა მეტ-ნაკლებად კარგად იციან, როგორ მოქმედებს კუმულაციური ჭკული. ჯავშანზე ტანქანინაღამდეყო რაკეტის მოხვედრისას ინიცირდება რაკეტის ქონიში მპრისებურად განთავსებული ასაფეთქებელი ნივთიერება (რომელიც გარედან სილიციუმის თხელი ფენითაა დაფარული) და აფეთქებისას წარმოქმნილი მაღალენერგეტიკული კუმულაციური ჭკული შეადწესს ჯავშანში.

ამ დროს დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ კუმულაციური ჭკულის წარმოქმნიდან ჯავშანამდე 40-50სმ-ზე მეტი არ

20 მაისს ჩვენს „ჰაპერს“ „დამრტყმელი ბირთვი“ ნახევარი მეტრით მარცხნივ რომ მოხვედროდა, მსხვერპლი გარდაფუცალი იქნებოდა...



იგოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მიმართული კომპლაციური ჰვავი იფანტება და ძალას კარგავს. სწორედ ამიტომაც ცდილობენ ჯავშნის წინ დააყენონ რკინის ან რუზინის ეკრანი, რომლის გარღვევის შემდეგ კომპლაციური ჰვავის ძირითადი ენერგია დაზარალებული და გაფანტულია, ხოლო დარჩენილი კი არ არის საკმარისი ძირითადი ჯავშნის გასარღვევად.

„დამრტყმელი ბირთვის“ შემთხვევაში კი პირიქით, მიზანი აფეთქებიდან არანაკლებ 1-1,5 მეტრში უნდა იგოს, რომ ნაღმის აფეთქების შემდეგ „დამრტყმელმა ბირთვმა“ მოასწროს ჩამოყვლილობა.

ერაყში EFP-ებს კუსტარულად ამზადებენ. ვითქვამთ, იდეები საარტილერიო ჭურვის გადაჭრილ პოლხას, ავებენ ტროტილით ან ჰექსოგენით და ზემოდან მჭიდროდ ამაგრებენ ძაბრისებურად ჩაზნექილ სპილენძის თავსახურს. გამზადებულ EFP-ს გზისპირას გვერდულად დებენ, ისე, რომ ძაბრისებურად ჩაზნექილმა სპილენძის სახურავმა გზას 1-1,5მ-ის სიმაღლეზე, ანუ მანქანის სალონის დონეზე „უყუროს“ (20 მისის ჩვენი კოლონის „ჰამპერის“ აფეთქებისას, ტერორისტებმა არანაკლებ ორი EFP-ი გზის პირიდან 2მ-ში ჩადეს).

დისტანციურად (რადიომართივით ან მძრავის დეტექტორით) აფეთქებისას ნაღმის კორპუსი ნაშხვრელებად იშლება, ხოლო მის თავში დამაგრებული ძაბრისებურად ჩაზნექილი სპილენძის სახურავი წინ წარმოუდგენელი – 2-2,5 კმ/წმ-ში სიჩქარით გაიტყორცნება.

1-2 მეტრში სპილენძის დისკი მეორე მხარეს გამოიჩნება და იღებს ნახევარბირთვის ფორმას, რომელიც უზარმაზარ ენერგიას ინარჩუნებს 30-40მ-ის მანძილზე. წაშლი 2კმ-ის სიჩქარით მერყნი „დამ-



**6 აპრილს ქართულ „ჰამპერს“ „დამრტყმელი ბირთვი“ მარჯვნიდან მოხვდა და ნამსხვრევებმა სალონში შეაღწია**

რტყმელი ბირთვის“ შეჩერება მარტო ჯავშნით თითქმის შეუძლებელია. თანაც, ამხელა ჯავშანს „ჰამპერზე“ უზრაოდ ეერ ჩამოკიდებ – მანქანა ადგილიდან ვეღარ დაიმგრება. მკითხველს რომ წარმოედგინა შექმნას, „დამრტყმელი ბირთვის“ ძალა და ფიზიკურ ბუნებაზე ერთ საინტერესო ფაქტს მოვიყვანი.

საბჭოთა არმამ 1983 წელს შეიარაღებაში მიიღო TM-83 ტიპის ტანკსაწინააღმდეგო ბორტსაწინააღმდეგო ნაღმი.

ამ ნაღმის გამოცდისას ჩაატარეს ექს-

პერიმენტი. ნაღმი მაშინ აფეთქდა, როდესაც მისგან გვერდით 15 მ-ში T-72 ტიპის ტანკი მიდიდა, ნაღმის აფეთქების წარმოქმნა „დამრტყმელმა ბირთვმა“ ტანკის კორპუსში 3-3,5მ-ის დამეტრის ნახვრეტი დატოვა (დახლოებით ამ დამეტრის ნახვრეტი ჰქონდა 20 მისის აფეთქებული ჩვენი „ჰამპერის“ ჯავშანს, ისევე როგორც სხვა აფეთქებულ „ჰამპერებს“).

თუკი „დამრტყმელ ბირთვს“ ტანკის გვერდითა ჯავშნის გარღვევა შეუძლია, მაშინ „ჰამპერი“ რაც უნდა დამატებით



**ნაღმის აფეთქებისას 2 კმ/წმ-ის სიჩქარით გამოიტყორცნება სპილენძის დისკი, რომელიც „დამრტყმელი ბირთვის“ ფორმას იღებს და ჯავშანს არღვევს**



**საბჭოთა TM-83 ტიპის ნაღმი მიერ გარღვეული T-72 ტანკის**

დაჯავშნი, არავითარი შანსი არ ექნებაო, იფიქრებს მეთხველი.

თუმცა მთლად ასეც არ არის. ისევე როგორც კომპლაცირი ჭვალის შემთხვევაში, „დამრტყმელ ბირთვსაც“ ღიდ ძალას აკარგვენებს დამატებითი ეკრანის გარღვევა, რომელიც ძირითადი ჯავშნისგან 20-50 სმ-ში აყენია.

ეკრანის გარღვევის შემდეგ „დამრტყმელი ბირთვი“ ფრაგმენტებად იშლება. კარგავს ძალას და ძირითად ჯავშნის უკვე ნაკლები ენერგიით და თანაც დანაწევრებული ხდება.

სტატია ითხოვს მიგვაყავს, რომ ერაყში ქართულჯვრან „ჰამერებს“ ჯავშნის დამატებითი ეკრანები აუცილებლად უნდა დაუყენდეს, რომ მან მთაწინის „დამრტყმელი ბირთვების“ წინააღმდეგ დაშლა, სანამ ისინი „ჰამერის“ სალონის უშუა-

**და მისი „დამრტყმელი ბირთვის“ ბორტის ჯავშანი**

ლო ჯავშანს მაღალწევნ.

„ჰამერის“ ხუთკაციანი ეკიპაჟისთვის ძალზე სახიფათოა სალონში ნაღმის ნამსხვრევების შეღწევა გვერდიდან, თუნდაც იმიტომ, რომ მანქანაში მსხდომებს მხოლოდ წინიდან და უკნიდან ჯავშანფილებით დაცული ჯავშანფილებები აცვიათ. სხეულის გვერდები კი, ფაქტობრივად, დაუცველია (სალონის შუაში მდგარი მეტეფიანფრეკციის ფეხები ყველა შემთხვევაში დაუცველია). „ჰამერებით“ საბრძოლო დავალებაზე გასასვლელი ჩვენი ბიჭები უკვე ფიქრობენ დამატებითი ჯავშანფილებებით წაიღონ, რომლებსაც კარებს შვინიდან ააფარებენ, თუმცა დამატებითი დაცვის ეს კუსტარული მეთოდი ნაკლებეფექტიანი იქნება.

აუცილებელია „ჰამერის“ სალონის თითხვე კარს გარედან დამატებითი ჯავ-

შანერკანები დაუმარდეს, ისე, რომ ამ ჯავშანერკანსა და „ჰამერის“ კარების ჯავშანს შორის არანაკლებ 20-30სმ მაინც იყოს დარჩენილი.

სხვათა შორის, ეს აზრი გაამაგრა ერაყში ნანახმა რამდენიმე „ჰამერმა“, რომლებსაც კარებზე დამატებითი ჯავშანი ჰქონდათ დამაგრებული.

ევი კომპოზიციური ჯავშნის დიდ ფილას წარმოადგინა, რომელიც კარებიდან რამდენიმე ათწულ სანტიმეტრზე დაცილებულ რკინის კონსტრუქციაში იყო ზეზიდან ჩადებული. კომპოზიციური ჯავშნის ფილის ახალი შეცვლა ყოველთვის შეიძლება.

როგორც ადვილზე გავარკვიეთ, დამატებითი ჯავშანერკანებიდან ვერ მხოლოდ იმ „ჰამერების“ ადუქრვა დაუწყეთ, რომლებთანაც ამერიკული ეკიპაჟები გადაადგილებიან.

შეიძლება, ერაყში ამერიკულიეკიპაჟთან „ჰამერებზე“ უფრო ნადირობენ (სხვათა შორის, ასეთ „ჰამერებს“, როგორც წესი, არავითარი განმასხვავებელი ნიშანი არ აქვს, მხოლოდ ზოგჯერის უფინა საჭარე მინის ქვეშ მინიატორული ამერიკული დროშა), მაგრამ ხუთჯვრიან ქართულეკიპაჟთან „ჰამერებს“ აუცილებლად სჭირდება კარებზე დამატებითი ჯავშანერკანების დაყენება, რათა შემციოდეს ტრაავიკული შემთხვევების ალბათობა, თუკი ჩვენი „ჰამერების“ წინააღმდეგ კიდევ გამოიყენებენ EFP ტიპის მიმართული მოქმედების „დამრტყმელ ბირთვებს“.

*ირაკალი ალადაშვილი*

**„ჰამერების“ კარებებზე დამატებით ჯავშანფილების ჩამოკიდების შემთხვევაში ერაყში მოქმედ ქართველ სამხედროებს ნაკლები საფრთხე დავიმუქრებოდათ...**





# პოსპიტალი

## რომელზეც არც ერთი წამყვანი სახელმწიფოს არმია არ იტყოდა უარს

სახელმწიფოს ძალისხმევამ, თავდაცვა ერთ-ერთი ყველაზე პრიორიტეტული და პრესტიჟული სფერო გამხდარიყო სახელმწიფოში, ნაყოფი გამოიღო. მაღალ დონეზე განვითარდა და ეკიპირებულ არმიას კი სამხედრო მომსახურეც შესაფერისი სჭარბდა, ამიტომ გამართლებულად უნდა მივიჩნიოთ ის უზარმაზარი თანხები, რაც ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში სსიპ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოსპიტლის განაშენიანება-განვითარებაზე იხარჯება. პოსპიტალი თითქმის ორი წელია, გორში განთავსებული. ეს არის სამხედრო-სამოქალაქო დაწესებულება, რომლის ფუნქციონირების წესები თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 25 ოქტომბრის №297 ბრძანებით დამტკიცებულ დებულებასა და მიქმედ კანონმდებლობას ემყარება. თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური სამხედრო პოსპიტლის დისნლოკაციის გორში განსაზღვრის შემდეგ, ძველი პოსპიტლის ოთხმოცამდე თანამშრომელი, სამხედრო სამსახურის ოფიცრები და სერჟანტები, დღესაც (ოღონდ სამოქალაქო პირის სტატუსით) ემსახურებიან შეზარალებული ძალების პირადი შემაჯგუფლობის გაანთავსების დაცვას. პოსპიტლის დანარჩენი პერსონალი (დაახლოებით სამასი კაცი), ადგილობრივი და საქართველოს სხვა რეგიონების სამხედრო მუშაკებით დაკომპლექტდა. 2008 წლის 15 მაისიდან სამხედრო პოსპიტლის უფროსად ნურკი ჯოხაძე დაინიშნა, რომელმაც ამ თანამდებობაზე ნიკა საინიშვილი შეცვალა. ბატონი ნურკი 18 წლის განმავლობაში გორის ქალაქის საავადმყოფოს ხელმძღვანელობდა.

პოსპიტლის მიზნობრივ მოვალეობას თავდაცვის სამინისტროს სამხედრო, მთ შორის სამოქალაქო მოსამსახურეების, თავდაცვის სამინისტროს ობიექტების პენსიონერების, აგრეთვე მათი ოჯახის წევრების სამხედრო მომსახურება წარმოადგენს. გარდა საქართველოს შეარაღებული ძალების თანამშრომლებისა და ჯარისკაცების მომსახურებისა, პოსპიტალს უწევდა და საშუალება აქვს, სამხედრო დახმარება გაუწიოს სამოქალაქო მოსახლეობას რესპუბლიკის ნებისმიერი რეგიონიდან.

აღრევ ვესმენდა სამხედრო პოსპიტ-



ნურკი ჯოხაძე

ლის ულტრათანამედროვე დონეზე მოწყობისა და მისი მრავალფუნქციური დატვირთვის შესახებ, მაგრამ გაგონილ არ დავეუბნოთ და სამხედრო პოსპიტლის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის სამსახურის მეთაიანეჯერს, რეზერვის ოფიცერს, სამხედრო სამსახურის ვიცე-პოლკოვნიკ ნურკარ გვიგორიშვილს დავუკავშირდით და ფორმალურად მოგვარების შემდეგ „არსენალი“ გორში ჩავიდა. ნანახმა მოლოდინს გადააჭარბა. ჩვენ დავცხვდა უახლესი, თანამედროვე სტანდარტების კლინიკა, რომელზეც არც ერთი

წამყვანი სახელმწიფოს არმია არ იტყოდა უარს. ულტრათანამედროვე სამხედრო ად-კურვილობა, პროფესიონალიზმი, სისუფთავე და კომფორტი, – ეს არის ის მცირე დასასათება, რაც ერთ წინადადებაში შეიძლება მიქცეულიყო.

ვიცე-პოლკოვნიკმა გვიგორიშვილმა ყველაფერი გააკეთა, რომ ჩვენს მეთხველსა და ფართო საზოგადოებას პოსპიტალში არსებული რეალური ვითარება დაეჩინა. თითქმის მთელი დღის განმავლობაში დავდივარ დაწესებულებაში, თითქმის ყველა განყოფილება დავათვალიერეთ და ვიცე-საუბრე მათ ხელმძღვანელებს. პირველ რიგში კი სამხედრო პოსპიტლის ახალ ხელმძღვანელ ნურკარ გვიგორიშვილს:

— ბატონო ნურკი, მართალია, თანამდებობაზე ახალი დანიშნული ხართ, მაგრამ, ალბათ, მანამდეც ადევნებდით თვალს სამხედრო პოსპიტალში მიმდინარე მოვლენებს. როგორ ფიქრობთ, გაამართლა პოსპიტლის გამამოტანამ თბილისიდან გორში?

— თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში მხოლოდ ეს პოსპიტალია. აქ უწევს სამხედრო სამსახურს საქართველოს სხვადასხვა რეგიონის თავდაცვის

უწყებაში მომსახურე ცველა პირს. გორი საქართველოს შუა წერტილია და მის-  
აფგომობის თვალსაზრისით, პოსაბტილის აქ  
გადმოტარა სავსებით გამართლებულია მი-  
მანია. არის ერთი სუბიექტური ფაქტორიც,  
— გორში დაბადებული და გაზრდილი  
კაცი ვერ და მისარია, რომ სამდიცინო  
დახმარების ასე მნიშვნელოვანი ობიექტი  
ჩემს ქალაქში აშენდა, უფრო სწორად კი  
გადაკვიდე (1952 წელს აქ ვირის უძვე-  
ლესი რაიონული საავადმყოფო იყო), რომელ-  
იც აღჭურვილია ულტრაბინამერიფე აპარა-  
ტურით.

**— რამდენია სამხედრო პოსაბტი-  
ლის ბიუჯეტი და რაზე იხარავდა  
მისი ძირითადი ნაწილი?**

— საკმაოდ სოლიდური თანხები ვე-  
ჭებს გამოყოფილი. მით უმეტეს, ჩვენს ქვეყ-  
ნის შესაძლებლობებს თუ გაითვალ-  
ისწინებთ. ერთი ნაწილი ბიუჯეტისაა  
უზრუნველყოფის მომსახურე პერსონალს და  
მამდიანარე პროცესებს, ხოლო მეორე ნაწი-  
ლი ხმარდება პოსაბტილის განახლება-  
გაფართოებას. მაგალითად, ახლა ვმუშაობთ  
კარდიოქირურგიის განვითარების გეგმზე.  
ეს საკმაოდ ძვირად ღირებულ სერვისია,  
აღჭურვილობა უკვე შექმნილია და გამო-  
ტარები. წლებიანდელ ბიუჯეტს დაემატა  
საქართველოში უნიკალური სისხლის ბანკ-  
ის ფორმირება, რომელიც უკვე დამ-  
ამთავრებულ სტადიაშია, აღჭურვილობის  
90% ადგილზეა, შენობა გამართულია, მიმ-  
დინარეობს აპარატურის ინსტალირება, კა-  
დრების შექმნა.

ბიუჯეტის ძირითადი  
ნაწილი ისარგებდა თანამ-  
შრომლების ხელფასებსა  
და ცველა იმ საქსანიობის  
უზრუნველყოფაზე, რაც თან  
ახლავს სამდიცინო პრო-  
ცესებს. ეს არის ინფრას-  
ტრუქტურის ხარჯი, შუქი,  
გაზი, კომუნალური გადა-  
სახადები, ცეცხა (ჯარისკა-  
ციების), მედიკამენტები და  
სხვა.

**— როგორია პოს-  
აბტილის სტრუქტურა,  
რაზე გაქვთ აქცენტი  
გაკეთებული?**

— ჩვენთან არის სამი ძირითადი მიმა-  
როულება: ქირურგიული, თერაპიული და  
კრიტიკული მედიცინის, ანუ რეანიმაცია.  
გვაქვს ინფექციური სამსახურიც, პოლიკლინი-  
იკური განყოფილება. ცველაზე დატვირთო-  
ული მაინც ქირურგიაა. პოსაბტილში ძალიან  
დიდი კონკურენტული ვარეობა, პრესტიჟ-  
იულია აქ მუშაობა. ვერ დამისახლებოთ  
ვერც ერთ სამდიცინო დაწესებულებას,  
პერსონალი ასეთი ხელფასებით რომ იყოს  
უზრუნველყოფილი. ექსპანის ანაზღაურება  
500-600 ლარია, უფროსი მედიკა 340

ლარს იღებს, ექიმის საშუალო ხელფასი  
კი 1.000 ლარზე მეტია. მიმართულების  
ხელმძღვანელები კოტა უფრო მეტს იღებენ.

**— რამდენად გამართლებულია,  
რომ ერთადერთმა სამხედრო პოსაბ-  
ტილმა საქართველოში სამოქალაქო  
სტატუსიც მიიღო?**

— ჩვენ ხომ მხოლოდ უწყებას ხომ არ  
ვესახურებთ, ვეფსახურებთ მოსახლეობასაც,  
თუცა მათთვის მომსახურების ფასები იდნავ  
ბევრია, რადან ტექნოლოგიები ვეაქვს საკ-  
მაოდ ძვირი და მაღალხარისხიანი.

სავსებით გამართლებულია, რომ სამო-  
ქალაქო პაციენტთა კონტინენტიც ვევაყვს.  
რატომ არ უნდა იყოს ასეთი მაღალტექ-  
ნოლოგიური სამედიცინო დაწესებულება  
რეგიონი მოქალაქეებისთვისაც ხელმისაწ-  
ვდომი? თანაც, სადენიწრად არ ვართ ძალიან  
გადატვირთული სამხედრო კონტინენტით.  
სამხედრო და სამოქალაქო პირებისათვის  
აშლები ცალკეაღკე. მთლიანად პოს-  
აბტილში ერთდროულად 175 კაცი შეუ-  
ძლია მკურნალობა. ახლა 70-პროცენტია  
დატვირთვა ვეაქვს.

**— ძირითადად, რას უწივიან  
ჯარისკაცებმა, რა შეგიძლიათ თქვით  
კაბრალდება და სერვანტებზე, რომ-  
ლებიც, ძირითადად, ყაზახმულ რე-  
ჟიმი ცხოვრობენ?**

— ჩვენ კარგად მოვდილი ვართ ვევაყვს,  
რომელსაც სრულფასოვანი ჯარა და საყ-  
ოფაცხოვრებელი პირობები აქვს. ამჟამად  
დაჭრილი, პრაქტიკულად, არ ვევაყვს. ძირ-  
ითადად, შემოდან პაციენტები, რომლებიც

ფიზიკურ დატვირთვას ვერ გაუძლებს. ჩვენ-  
თან იტარებენ გამოკვლევას, რომლის შემ-  
დეგაც ვეაქვებთ ცნობას, მათი შემგვამი  
სამსახური ვარში გამართლებულია თუ  
არა.

**— როგორია სტატუსტკაცა?  
— ძალზე დატვირთულია პოლიკლინი-  
კა, სადაც ვადგერთ სამხედრო მოსამსახ-  
რეების ვარეისიანობას. უნდაველსობა ვან-  
მთიელია, ჩვენ მხოლოდ ვამოწმებთ, რომ  
რამე არ გაიპაროს, შემდეგ ვარში არ  
გამოვლიწვებს და მათ ვანმორეობას სა-  
ფრთხე არ შეექმნას. წლის დასაწყისიდან  
დაახლოებით 2000 კაციმდე ვევაყვს ვა-  
ტრანსული. დღეში საშუალოდ 60-70  
ჯარისკაცს ვიღებთ.**

**— როგორც ცნობილია, სამხედრო  
მოსამსახურეების სამედიცინო მომ-  
სახურებას სახელმწიფო აფინანსებს,  
მათი ოჯახის წევრებზე თუ ვრ-  
ცელდება შევადამთებ?**

— დაიხ, ვარისკაცის მკურნალობას  
სახელმწიფო აფინანსებს, იქნება ეს ვადა-  
უნებელი, ვეგმური თუ პროფილაქტიკური  
სამედიცინო მომსახურება. სამხედრო მო-  
სამსახურეთა ოჯახის წევრებს (მშობლი,  
კოლი, შვილი) კი 45-პროცენტია ფას-  
დაცლება აქვთ.

**— მიუხედავად იმისა, რომ დიდი  
დაფინანსება და კარგი პირობები  
გაქვთ, მუშაობის პროცესში, ალბათ,  
მაინც ვექმნებთ პრობლემები.**

— რასაკვირველია, პრობლემები არის.  
მაგალითად, ჩვენ ვეაქვს შესანიშნავი ექოს-  
ოპური აპარატურა, მაგრამ ვამტარანობ  
რომ ვავხარდოთ, კიდევ ერთი ვევაქვს.  
აი, ასეთი სახის პრობლემები ვეაქვს.

როცა საჯარისო ნაწილებიდან შესა-  
მოწმებლად მოკეყოთ ვარისკაცები, დღეში  
30-50 კაცი და თან, მოდინ მოქალაქეებზეც,  
აპარატურა ძალიან იტვირთება და პაციენ-  
ტებს დისკომფორტი ექმნებათ. ჩვენ დავი-  
ნახეთ რეზულტატი, რომ ვავხლით მოკე-



**ამ უახლეს  
ტომოგრაფიულ აპარატს  
დღეში 20 პაციენტის  
გამოკვლევა შეუძლია**

ითხვად დაწესებულება და ამიტომ ვაძლევთ ვარიანტს, სასწრაფოდ გაუფართოოთ პოსიტალები. დღეს ვითვალთვალავთ ერთი საოპერაციო დამატების თაობაზე.

**რის შედეგს აღვივებთ?**

— ვგეგმავთ გაცილებით მაღალტექნოლოგიური მომსახურების დაქვემდებარებას. პოტენციალი, რომელიც გვაქვს, უფრო დიდი ამოცანების გადასაწყვეტად უნდა გამოვიყენოთ. ბუნდოვანი ვარაუდები, რომ იმ პროცესებში ეფინანსივით, რომლებიც დღეს სამხედრო პოსიტალებში მიმდინარეობს.

როგორც ვაირკვა, პოსიტალებში მუშაობს სამხედრო-საექიმო კომისია. მოქალაქეს, რომელიც გამოთქვამს საკონტრაქტო სამხედრო სამსახურში შესვლის სურვილს, საბუთების შეგროვებისა და სამხედრო ნაწილში ორგანიზირებული კანდიდატის გავლის შემდეგ, სწორედ ეს კომისია ამოწმებს მისი ჯანმრთელობის მდგომარეობასა და ჯერში სამსახურისათვის ვარჯისადასა.

**რამაზ ტატიშაშვილი,**

სამხედრო-საექიმო კორდინატორი, სამხედრო-საექიმო კომისიის თავმჯდომარე, რეზერვის ოფიცერი, სამედიცინო სამსახურის უფროსი ლეიტენანტი: — მოქალაქე, რომელიც გამოთქვამს სამხედრო სამსახურში შესვლის სურვილს, უგაგრებს სამედიცინო შემოწმებაზე. მას უტარდება შემდეგი სახის გამოკვლევები: სისხლისა და შარდის საერთო ანალიზი, ანალიზი B და C ჰეპატიტზე, ათამანგა და მიღსურ, გულმკერდის რენტგენოკოპია; გაულის სხვადასხვა სპეციალისტებთან კონსულტაციები. ყველა სპეციალისტის დასწრად გამოკვლევების შედეგები ფიქსირდება დანართში, რომლის საფუძველზეც კომისია დაადგენს სამხედრო სამსახურში კონტრაქტით მისაღები მოქალაქის, ანუ რეზერვის, სამხედრო სამსახურისათვის ვარიანტისათვის კატეგორიას. სამხედრო-სამედიცინო შემოწმების გადინა აგრეთვე ის სამხედრო მოსამსახურეები, რომლებიც ინტენსიურ მკურნალობას სამხედრო პოსიტალებში, ამბულატორიული პაციენტები, სამშვიდობო მიხითი საზღვარგარეთ გასვლათი სამხედრო მოსამსახურეები, თავდაცვის ერთეულებში აკადემიის აბიტურიენტები და საზღვარგარეთი სასწავლებელად წაშვებული სამხედრო მოსამსახურეები.

**— ძირითადად, რა მიზეზით იწინებენ რეკრუტების სამხედრო სამსახურისათვის?**

— წველს სამხედრო-საექიმო კომისია გაიარა 4879 პირმა, აქედან 427-ს ჰეპატიტი აღმოაჩნდა. შემდეგი მიზეზია სკოლაობი (ხერხეულიანი გარეუბანი), თვალის, ქორუხეობის და უფრო იშვიათად, ფსიქიკური პრობლემები. პრობლემას ქმნის ის, რომ სამხედრო სამსახურში მოსახვედრად რეკ-

**ყველაზე მიმე ავადმყოფი ამჟამად სამხედრო მოსამსახურეა, რომელიც ავტოავარიის მიყვება. დღეისათვის მისი მდგომარეობა სტაბილურია.**



ნონირება იმისა, ემუქრება თუ არა პაციენტს გულის იმპლანტი დაავადება, ხდება რისკის ავთვისებიანობის შესახებ, ოპერაციული მკურნალობა. ეს აპარატი სპეციალური პროგრამით მუშაობს. მონაცემები მუშავდება კომპიუტერული პროგრამით, რაც ავარტივებს დიაგნოსტიკას“.

რუტები მაღავენ ქრონიკულ და ადრე გადართილ დაავადებებს. ადრე თუ სიმალეცა-ავრავრავისთან გვექნადა საქმე, ახლა პირიქითა. ძირითადად, ისეთი დაავადებები ცდილობენ „გაპარავს“, რომლებიც ვიზუალურად არ ჩანს და არც საუბარებულ გამოკვლევებში გამოვლინდება. ესენია ნერვოლოგიური და ფსიქიატრიული დაავადებები, კუჭის წყლული, შარბანი დაბეჭდილი, გულ-სისხლძარღვთა დაავადებები...

ბატონ რევაზთან საუბრის შემდეგ დიაგნოსტიკურ ცენტრში გადავიხილეთ, რომელიც ავითანებს რადიოლოგიურ და ინტერვენციულ სამსახურებს (რენტგენოლოგია, ულტრაბუნოვანობა, კომპიუტერული ტომოგრაფია, ულტრაბუნოვანობა) და ლაბორატორიას. ეს განყოფილება ერთ-ერთი ყველაზე კარგად აღჭურვილია პოსიტალებში. რადიოლოგიური დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ცირა შაჰაშვილის თქმით, ულტრაბუნოვანობის სპეციატი, რომელიც დღეს დღეს და გულსისხლძარღვთა მივლი სპექტრის გამოკვლევა შეიძლება, „ფილიპსის“ ფირმისაა. მაგრამ მხოლოდ ერთი ცალი აქვთ და, შესაძამისად, დატვირთვაც დიდა, რაც ექსპლუატაციის წესების დარღვევაა.

ინმა აღდაშვლი, ექიმ-კარდიოლოგი: „დავინოსტიკური ცენტრის ერთ-ერთი სამაგვე ე.წ. რეაბილიტაციის ტექსტი, ანუ სტრეს-ტესტებს, რომელიც გულის იმპლანტი დაავადებების ადრეულ ეტაპზე გამოვლინება შეიძლება. ასევე, შესაძლებელია პროე-

უახლესი დანადგარია ტომოგრაფიის აპარატიც, როგორც ტომოგრაფიის სპეციალისტმა, რეზერვის ოფიცერმა, სამედიცინო სამსახურის ვიცე-პოლკოვნიკმა ირინა კაპანაძემ განეცხადება, ეს დანადგარი ორშობიანი, სანარალური კომპიუტერული ტომოგრაფიის გაცემის საშუალებას იძლევა. კეთდება ყველა ორგანოს მრავალშობიანი გამოკვლევა, ასევე დანადგარი ანგიოგრაფია. დღემდე 20 პაციენტის გამოკვლევა დასაშვებია. ცენტრში ყველაზე დიდი დატვირთვით რენტგენოლოგიის კაბინეტი მუშაობს. არის აპარატი, რომელსაც 60 ათასი ლარი სჭირდება, ციფრულად რომ გადაკეთდეს, რაც შეამუშავებდა აპარატის დატვირთვასაც და სპეციალისტთა შრომასაც, როცა რეკრუტის შემოწმება მიმდინარეობს, ეს აპარატი დღემდე 150-170 კაცს ემსახურება“.

პოსიტალების ადმინისტრაციული კორპუსის პირველ სართულზე საქმიად ვრცელი ფართი უკავია ლაბორატორიული განყოფილებას.

თამარ ბოლთიაშვილი, ლაბორატორიული განყოფილების ხელმძღვანელი: „ჩვენს ლაბორატორიაში აღჭურვილია ულტრაბუნოვანობა, აპარატურით. ბიოქიმიური აპარატურის წარმადობა დღემდე 100 ანალიზი, ჰეპატოლოგიისა დღემდე 120, იმუნოლოგიური და ბაქტერიოლოგიური ანალიზატორების წარმადობა გაცილებით დიდა. ჩვენთან გამოკვლევას გადინა კო-

მისაზე გამკვლევი რეკრუტები, სამხედრო მოსამსახურეები, რომლებსაც ეკუთვნით ეტაპობრივი გამოკვლევა, ასევე გრავსა და სხვადასხვა სამხედრო მისიები მონაწილე სამხედრო კონტინგენტი.

**— დღემო, საშუალოდ, რამდენი პაციენტი გასტურდება გინეტი?**

— არის შეზღუდვები, როცა დღემო 100 სამხედრო პირი მოდის, ამას დაუმატეთ ამჟღავნებელი პაციენტები, მოქალაქეები. ზოგჯერ დღემო 500-ზე მეტი ანალიზიც გავაგვიკეთება.

**— რა არის ლაბორატორიის ბოლო შენაძენი?**

— ეს არის RT – PCR – დიაგნოსტიკის (პოლიმერაზული ჯაჭვიური რეაქცია რეალურ დროში) აპარატი. ასეთი აპარატი საქართველოში სულ ორია. ის ინფექციური აგენტის გამოვლენის საშუალებას იძლევა DNM-ის არ RNM-ის დონეზე, ეს ეხება შიდსსა და ჰეპატიტებს. გარდა ამისა, გვაქვს: Elecsys 2010 – იმუნოლოგიური, Flexor junior – ბიოქიმიური, Start 4 – კოაგულოგრამის, ABX – ჰემატოლოგიური, Biomerux – ბაქტერიოლოგიური, Urise – შიდსის ანალიზატორები\*.

კრიტიკული მედიცინის განყოფილება, ანუ რეანიმაცია, ქირურგიული კორუსის ორ სათიულეზე განთავსებული და 20 პაციენტზეა გათვლილი.

ყოველი საწილი უზრუნველყოფილია კარდიომონიტორით, ხელოვნური სუნთქვის აპარატით. ავადმყოფთა მდგომარეობის მონიტორინგი შესაძლებელია ასევე ცენტრალური მონიტორის საშუალებით, რომელსაც გადაეცემა ინდივიდუალური მონიტორების მაჩვენებლები.

ნიკოლოზ ჩაღურელი, კრიტიკული მედიცინის მიმართულების ხელმძღვანელი, რეზერვის ოფიცერი, სამედიცინო სამსახურის უფროსი ლეიტენანტი: — ამჟამად განყოფილება დატვირთულია 40%-ით,

ყოველდღიურად დაახლოებით 8-9 ავადმყოფი გვიწვეს განყოფილებაში.

ყველაზე მძიმე ავადმყოფი ამჟამად სამხედრო მოსამსახურეა, რომელიც ავტოგარანიაში მოყვა. მას ჰქონდა ქალაქების დაზარული ტრავმა, ტენის შუშუბება, რბილი ქსოვილის დატვირლობა, ლავიქის, წინამხრის, წვივისა და ბარძაყის ძვლების, ნეკრების მოტეხილობა, სუნთქვის უკმარისობა. ავადმყოფი ახლა მართვით სუნთქვარეა. დღე-ისთვის მდგომარება გაუმჯობესებულია, სტაბილური.

**— რამდენად დიდია სიკვდილიანობა?**

— გასულ წელს 86 პაციენტიდან მხოლოდ ერთი დაიღუპა. წელს გატარებული გვაქვს უკვე 131 პაციენტი. სიკვდილიანობა II პროცენტია, ეს სამოქალაქო და სამხედრო პირებია ერთად აღებული. იმტა დაავადებების სიმძიმე. სიკვდილის მიზეზი, ძირითადად, არის ჰემორაგიული ინსულტი, ანუ სისხლის მიმოქცევის მოშლა, ტენიში სისხლის ჩაქცევა. იშვიათად იღუპებიან ტრავმით.

იმ იმედით, რომ რეანიმაციაში მყოფი ყველა პაციენტი მაღალ პალატებში გადაიდგა, ნევროლოგიის განყოფილებას ეწვევთ, სადაც ფსიქიატრულ პაციენტებსაც მუშაობენ. განყოფილებაში სიმშვიდე დავხვდა, გისოსებანი პალატების დანახვით ცოტა შეშინებული რეზერვის ოფიცერმა, სამედ-სერვის სამსახურის მაიორმა მათა სიმხაიშვილმა იმით დავგაშვიდა, რომ ამჟამად ნევროლოგიურში მძიმე ფსიქიატრიული პაციენტები არ ჰყავთ.

**— ქალბატონო მია, თქვენთან პაციენტთა საკმაოდ მრავალფეროვანი სპექტრი მკურნალობას, აუდის მათი ის 24 საწილი, როცა განყოფილებას აქვს?**

— ვჯერჯერობით, პრობლემს არ შევქმნია. სწორად აღინიშნა, ჩვენთან გარდა ნევროლოგიური, ფსიქიატრიული პაციენ-

ტებიც არიან. ვარში ფსიქიატრიული და სტრესული პრობლემები ხშირია. საკმაოდ ბევრი ავადმყოფი გვაქვს ვევეტროლისტრინით, რადიკულიტათა და ტრავმის ნარჩენი მოვლენებით. ვარისკაცებში, ძირითადად, ანატოციის დაზიანებებია. ჩვენთან მიზეზების მიზეზი, ალბათ, მათთვის მოუწყველი ფსიკური დატვირთვაა. ამჟამად განყოფილებაში 13 პაციენტი გვაქვს. აქედან 3 სამოქალაქო პირია, 10 – სამხედრო.

ის რამდენიმე საათი, რაც ჰოსპიტალიზაციით, ისე იფიქურად იყო ყველაფერი, რომ განსხვავებულს არაფერს ეკვლიოთ, მაგრამ რეაბილიტაციის ცენტრში, ცოტა არ იყოს, იმედი გავაყვარე. განყოფილება, სულ რაღაც რამდენიმე თვისისაგან შეუდგა.

რეაბილიტაციის განყოფილების უფროსი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, რეზერვის ოფიცერი, სამედიცინო სამსახურის ვიცე-პოლკოვნიკი 606(1) მპრპაშ-073302: — NATO-ს წევრი ქვეყნები დღე თანხებს სარეაბილიტაციული თერაპიის განვითარებისთვის. მე მქონდა სარეაბილიტაციული პროგრამით მუშაობა გერმანიის ერთ-ერთ წამყვან სარეაბილიტაციული კლინიკაში, ცინციხ, ასევე, ლატვიის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო-სარეაბილიტაციული ცენტრს (იმ დროისთვის ლიტვის შეარაღებული ძალების კონტინგენტი სულ რაღაც 5 ათას სამხედრო მოსამსახურეს ითვლიდა) და ვისურვებდი, ქართულ ვარსკაცებშიც ადგენილი თერაპიის ასეთივე სრულყოფილი ცენტრი.

ჩვენ გვაქვს ულტრააინამდებროვე აპარატურა ფიზიოთერაპიული მკურნალობისთვის. კერძოდ, ლაზეროთერაპია, ელექტროთერაპია, ულტრაბერითი მკურნალობა და ა.შ. გვაქვს კვალიფიციური მასაჟისტები, მაგრამ ვგვიბრუნებს სამკურნალო ფიზიკულტურის, რეზერვის ოფიცერის ადმინისტრაციის გადახალისება. არ გვაქვს წელის პროცედურების ჩატარების საშუალება.

იმედია, ჩვენს ვარისკაცებს, მათ შორის საერთაშორისო სამშვიდობო მისიების დამორჩეულებსაც, მალე ექნება ნატოს სტანდარტების შესაბამისი სარეაბილიტაციო სამსახური, რომლის გარეშეც პაციენტის, მათ უფრო, ვარისკაცის სრული გამოჯანმრთელება, მშვიდობაში დაბრუნება წარუდგენელება.

პრობლემებზე ნაკლებად ვეკუსებარა ზოგადი თერაპიის განყოფილების ხელმძღვანელი, რეზერვის ოფიცერი, სახელობით სამსახურის ვიცე-პოლკოვნიკი 606(1) მპრპრინო73302. განყოფილებაში არსებული 24 საწილიდან, 4 ინტენსიური ბოლიკისაა. აქ კარდიოლოგიური პათოლოგიის მქონე მძიმე ავადმყოფებს მკურნალობენ. პალატა აღჭურვილია უახლესი ტექნიკით.

მედიკამენტები უზრუნველყოფა მაღალ



პოსპიტალს აქვს ყველა ის ლაბორატორიული დანადგარი, რომელიც შეიძლება დასჭირდეს



ფელგა 75 საწილზეა გათვლილი, თუმცა ფეციკლებლის შეზიხვევაში ფიზიკური მოძიება ორჯერ გაიზარდოს. ქირურგთა კოლექტივი დაკომპლექტებულია თადარიგში გასული სამხედრო და გამოცდილი სამოქალაქო ექიმებით. აქ ავადმყოფს უწყვეტ სპეციალიზებულ და კვალიფიკურ ქირურგიულ დახმარებას, რაც მოიცავს: ზოგად ქირურგიულ, ტრავმატოლოგიურ-ორთოპედიულ, ნეიროქირურგიულ, უროლოგიურ, მიკროქირურგიულ, ანგიოქირურგიულ, გინეკოლოგიურ, პათოქტოლოგიურ, ყსა-სახის, ცელ-ფურ-ცხვირისა და თვალის სწულვებათა ქირურგიულ მკურნალობას. თანამედროვე სამედიცინო აპარატურა სრულფასოვანი გამოკვლევისა და მკურნალობის საშუალებას იძლევა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ცეცხლსაბრუნო და ნაფხვოქტებადი ტრავმების ქირურგიული მკურნალობა ტრავმების სრული პათოგენეზი და სამხედრო-საველე ქირურგიის პრინციპების გათვალისწინებით.

დონზეა, საამისოდ პერიოდულად ცხადდება ტენდერები, რომლებშიც მონაწილეობს თითქმის ყველა წარმავნი ფარმაცევტული ფირმა. თუ კლინიკას რაიმე პრეპარატი არ აქვს, ის შესტად 2 საათში ადგილზე იქნება. ერთდერით პრიობლემა, რაც ამ განყოფილებას აქვს, პაციენტების სიზრავლეა.

ინვექციური განყოფილების ხელმძღვანელი, რეზერვის ოფიცერი, სამედიცინო სამსახურის მადირი ნაწილი ჯანმრთელობის მინისტრის მისამამდე მოსახლეობასაც მკურნალობდნენ. საბედნიეროდ, იმ იშვიათი ინვექციურ დაავადებებს, რაც ერაყელებს აქონდათ, საქართველოში ნაკლებად შეხვდებიან. განყოფილებაში არის 22 ნახევრად ბოქსირებული და 2 ბოქსირებული საწილი, რომელზეც განყოფილება განსაკუთრებით სამშინ ინვექციების მქონე პაციენტთათვის. ქალბატონი ნელის განმარტებით, განყოფილებაში ყველა ტიპის ინვექციას მკურნალობენ. დაავადების სავიციოდან, სეზონობიდან გამომდინარე, პაციენტთა რაოდენობა ხან მკვეთრად მატულობს, ხან იკლებს. ძირითადად, აქ მკურნალობენ ჰეპატიტებით, რესპირატორული დაავადებებით, კუჭ-ნაწლავის ინფექციებით, კვებითი ინტოქსიკაციებით, მეჩინფიტებით და ა.შ. დაავადებულები. გარდა ჰეპატიტიანი პაციენტებისა, ყველა 100 პროცენტით განკურნებული მიდის. რაც შეეხება ჰეპატიტით დაავადებულ სამხედრო პირებს, თავდაცვის მინისტრის ბრძანებით მათ დათხოვენ სამხედრო სამსახურიდან.

ჩვენ თავდაცვის სამინისტროს სისხლის ბანკის ხელმძღვანელ შალვა მაღალკელიძესაც შეხვდით. სხვათა შორის, ასეთი ანალოგიური სისხლის ბანკის შექმნის პრეცედენტი პოსტსაბჭოურ სივრცე

ში ჯერ არ არსებობს. შალვა მაღალკელიძე, რეზერვის ოფიცერი, სამედიცინო სამსახურის მადირი: - ეს არის საწარმოო ტრანსფუზიოლოგიური დაწესებულება, სადაც სისხლის კომპონენტები დამზადდება: ერთირიც-იტული მასა, ახალგაყენული პლაზმა და თრომბოციტული მასა. სისხლის კომპონენტები მსოფლიოში არსებული თანამედროვე პრინციპებით დამზადდება.

სისხლის ბანკის შერბა პოსპიტლის ტერიტორიაზეა, აპარატურა შეხებილია და მონტაჟდება. პროექტი ძლიან სწრაფად, დაახლოებით 8 თვეში განხორციელდა. სისხლის ბანკის ექსპლუატაციაში გაშვება უახლოეს მომავალში იგეგმება.

გული ვეწვდებოდა, რომ პოსპიტლის ყველაზე დიდი, ქირურგიული განყოფილების უფროსს, რეზერვის ოფიცერს, სამედიცინო სამსახურის მადირ ვიზა კანწურაშვილს ვერ გავესაუბრე, რადგან რადღინე საათის განმავლობაში როულ ოპერაციას აკეთებდა. საბედნიერად, მანც მოვახერხეთ მისთან შეხვედრა. როგორც ბატონმა ვიზამ განვცხადრტა, ქირურგიული განყოფილება 75 საწილზეა გათვლილი, თუმცა ფეციკლებლის შეზიხვევაში ფიზიკური მოძიება ორჯერ გაიზარდოს. ქირურგთა კოლექტივი დაკომპლექტებულია თადარიგში გასული სამხედრო და გამოცდილი სამოქალაქო ექიმებით. აქ ავადმყოფს უწყვეტ სპეციალიზებულ და კვალიფიკურ ქირურგიულ დახმარებას, რაც მოიცავს: ზოგად ქირურგიულ, ტრავმატოლოგიურ-ორთოპედიულ, ნეიროქირურგიულ, უროლოგიურ, მიკროქირურგიულ, ანგიოქირურგიულ, გინეკოლოგიურ, პათოქტოლოგიურ, ყსა-სახის, ცელ-ფურ-ცხვირისა და თვალის სწულვებათა ქირურგიულ მკურნალობას. თანამედროვე სამედიცინო აპარატურა სრულფასოვანი გამოკვლევისა და მკურნალობის საშუალებას იძლევა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ცეცხლსაბრუნო და ნაფხვოქტებადი ტრავმების ქირურგიული მკურნალობა ტრავმების სრული პათოგენეზი და სამხედრო-საველე ქირურგიის პრინციპების გათვალისწინებით.

დღეს სამხედროებთან ერთად პოსპიტალში მკურნალობენ ავადმყოფები საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან. სამხედრო მოსამსახურეებს შუღლით მშვიდად იმსახურან. გორის სამხედრო პოსპიტლის კოლექტივი მზად არის მათ დასახმარებლად.

P.S. სტატეაში ხშირად ვგაუკვამოვნებულო ფრანზა „სამედიცინო სამსახურის რეზერვის ოფიცერი“. საქმე ის არის, რომ სამხედრო პოსპიტლის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენენ ის ოფიცერები და სერჟანტები (საექიმო და საშუალო სამედიცინო პერსონალი), რომლებიც წლების განმავლობაში მსახურობდნენ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ცენტრალურ სამხედრო პოსპიტალში და 2006 წელს თავდაცვის სამინისტროს სამედიცინო სამსახურში გატარებული რეფორმის შედეგად დათხოინელ იქნენ თადარიგში.

ენიშ მამუშაძე





## ამერიკელი კონგრესმენები მოეპოვოს ხეხლსასროლ ჩარაღს გაეხნენ



ამერიკის არმაამ კონგრესმენტებს მომავლის მალალტექნოლოგიური ცეცხლსასროლი იარაღი გააკნო. გამოფენაზე ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი მოდულურმა დამხმარე საფანტანამ თოფმა M-26 MASS-მა დაიკავა.

ახალი გლუვკულოანი თოფი M-26 შეიქმნა, როგორც დამხმარე იარაღი ქვეითი, სამხედრო პოლიციისა და სპეციალურ ოპერაციათა სამხედრო მოსამსახურეებისათვის. მაგრდება საიერიშო შაშხანა M-4-ის ან M-16-ის ლულის ქვეითი ან დამოუკიდებლადც შეიძლება მისი გამოყენება. ამერიკელი სამხედროების აზრით, საფანტანანი თოფი ვაზრდის ჯარისკაცის საბრძოლო შესაძლებლობებს და შეამცირებს ეკიპირებაში შემავალი შეიარაღების ცალკეულ სისტემას.

12-კალიბრიანი M-26-ს ხუთვახნიანი მჭიდი აქვს და შეუძლია მაქსიმალურად ვაზრდული ან შემცირებული დამაზიანებელი ზემოქმედების განხების სროლა.

წონა 1,22 კილოგრამს შეადგენს და შეიარაღებაში 2009 წლიდან შევა. პირველი პარტია 35 ათასი ერთეულით არის განსაზღვრული.

# აგზ ახალი სქემის თვითფრინავს ქმნის

საქართველო  
2008 წლის 10 თვე

გასული საუკუნის 90-იანი წლების შუახანებიდან კომპანია McDonnell Douglas-მა მუშაობა დაიწყო Blended Wing Body (BWB) სქემის თვითფრინავის შესაქმნელად, რომელიც ცნობილი „მფრინავი ფრთის“ ერთ-ერთ ნაირსახეობაა.


1997 წელს კომპანიამ NASA-თან ერთად თვითფრინავის 5,2 მეტრი ფრთავალიდობის მქონე მოდელი აგო. გამოცდების წარმატებით დასრულების შემდეგ კომპანია უფრო დიდი უბილოტო მოდელის აგებას შეუდგა,

რომელიც მომავალი თვითფრინავის ზომების 14%-ს შეადგენდა. მოდელი სამი პატარა ტურბორეაქტიული ძრავით აღიჭურვა და პროექტმა ოფიციალური სახელწოდება X-48A მიიღო. მასზე მუშაობა 2002 წელს შექრდა, როცა მართვასთან დაკავშირებული პრობლემები განჩნდა.

მუხუცეავედ ამისა, კორპორაცია Boeing-მა, რომლის შემადგენლობაში McDonnell Douglas-ი შევიდა, ბრიტანულ კომპანიასთან ერთად განაგრძო მუშაობა და ორი ახალი მოდელი X-48B აგო. ორივე მოდელის წონა 500 კილოგრამია და ფრთების გარსამოსი კომპოზიტური მასალებისაგან არის დამზადებული. პირველი გაფრენა 2007 წლის 20 ივლისს შესრულდა.

კვლევის თანახმად, BWB-ის სქემს კლასიკურ სქემასთან შედარებით საწვავის 20%-ის ეკონომიას იძლევა, ხოლო ძრავების ფრთის ზევით განლაგება ძრავების ხმაურის მანქნებულს შესაძინევად ამცირებს.

თვითფრინავის დიდი მფინთა მოცულობები მრავალფუნქციური საჰაერო მართვის პუნქტის შექმნის პრობებს ქმნის, რომელიც ერთდროულად სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო ძალების მართვაზე იქნება გათვლილი.



საქართველო 2008 წლის 10 თვე

საქართველო 2008 წლის 10 თვე



# „სტრაიკოლი“

## თავაზი უფროსებისათვის

„სტრაიკოლი“, იგივე AIRSOFT-ი გუნდური არაკომერციული სამხედრო-სპორტული თამაშია. მონაწილეობა შეუძლია თერაპეტ წელს ზებით ყველა მსურველს. თამაში გამოიყენება პნეუმატური იარაღები, რომლებიც ისერის ექვში მილიმეტრის დიამეტრის მქონე პლასტმასის ბურთულებს.

სტრაიკოლი თმის შემდგომ აბაინაში დაიბადა. კაბიტულაციის შუბღვე გამოარეგებულმა ქვეყნებმა აბაინას აუკრძალეს ცცხლსასროლი იარაღის გამოყენება, მაგრამ სამხედრო საქმე ხომ უნდა

ესწავლიათ. ამიტომ გამოვიჩინაბა აბაინელებმა გამოსავალი მონახეს – ნამდვილ საბრძოლო იარაღთან მაქსიმალურად მიახლოებული ასლები გააკეთეს, რომლებიც ტყვიების ნაცვლად მსუბუქ და უვნებელ ბურთულებს ისროდა. ასე რომ, „სტრაიკოლიში“ გამოიყენებული იარაღი ნამდვილის ასლია – AIRSOFT არის MILSIM (სამხედრო სიმულატორი).

ეს თამაში ხშირად ეშლებათ აფერიკაში 1981 წელს შექმნილ თამაშ „პეინტბოლში“, რომელიც სპორტის ერთ-ერთი სახეობაა. მისგან განსხვავებით, „სტრაიკო-

ბოლს“ სპორტის სახეობას ვერ მიკუთვნებთ. ამ ორ თამაშს შორის ძირითადი განსხვავება თვითიარებაა. აქ მოთამაშეები საკუთარ თავს ცდიან, „სიკვილის“ აღიარება მოიპოვონ სიწინისზე, ვისაც ეს არ შეუძლია, მისი ადგილი „სტრაიკოლიში“ არ არის.

„AIRSOFT“-მა საქართველომდეც ჩამოაღწია. მისი ერთ-ერთი დამარსებელი უნა აბაშიძეა, მეტსახელად „Cyborg-Mcloud“, რომელიც 2001 წლიდან ცდილობს თამაშს „შეგებას“.

– ვველაფერი დიდი ხნის წინ დაიწყო, უნას აკვირებული იდეით, „შპიურში“ გასართობად ჩვენი ასაკისთვის შეუფერებელი „სტრაიკოლი“ ვითამაშეთ. ბავშვობაში ამ თამაშს ომობანას ვეძახდით. ბერი სიხნელ ახლდა თან იღვის სორც-შესხმას. იარაღად პლასტმასის პისტოლეტებსა და „კინესტერებს“ ვიყენებდით. ამიტომ ხალისი ნელ-ნელა გვეკარგებოდა და წაიზწყება საბოლოოდ დალეუვის პირას მივიდა. იღვის გადასარჩენად საჭირო იყო რელოგანიზაცია. უნას და მისი მეგობრების დახმარებით „სტრაიკოს“ ისტორიაში ახალი ხანა დაიწყო, – გვიამბობს ვეტერანი სტრაიკოლი მეტსახელად „ზვიგანა“.

მას შემდეგ კიდევ რამდენიმე რეორგანიზაცია გაიარეს და დღეს ორმოცდაათზე მეტი აქტიური მოთამაშე ჰყავს „სტრაიკოლიში“, რომელთა უმრავლესობას უცხოური ძვირად ღირებული იარაღი და სხვა სამხედრო აღჭურვილობა აქვს. სს-

საბრძოლოვლად გასამგზავრებლად ხალხმრავალ ადგილებში ვგროვებდით და ხშირად გამგლეულების რეაქციით ვერთობით...





ვათა შორის, იარაღების ფასები 150-დან 2.000 დოლარამდე მერყეობს.

თამაში იმდენად ემოციურია, რომ სიტყვით შეუძლებელია ახსნა, რამდენად საინტერესოა. ამიტომ გადავწყვიტეთ, საკუთარ თავზე გამოვვეცადა.

როგორც წესი, კვირადღეს, დილით ვიკრიბებით დაითქმულ ადგილას. აქ ყველა ერთმანეთს იცნობს, ესალმება, სანამ შეკრიბებან, ერთმანეთს უხიარებენ აზრებს, ერთმანეთის იარაღებს ათვალიერებენ და ა.შ. ბოლოს, დაითქმულ ადგილას მივბრუნებან, ძირითადად, მონაწილეობა მანქანებით, იშვიათად სამარშრუტო ტაქსით.

ჩვენი მიზლი იმდენი ნაწილი იმდენივე გამოირიდა, - დაძაბულობა თამაშის დაწყებამდე შეიძინებდა, მხდის გამაღებელი შხადება, იარაღების შემოწმება, ტყვიების მომარაგება, სამხედრო კეპიტანების მოწვევები.



ჯგუფი ორად გაიყო. სცენარის სახე-ლია: „ამერიკა და კოლუმბიელი პარტი-

ზანები“. „კოლუმბიელი“ აჯანყებულების სამიო ბაზიდან რამდენიმე დღის წინ გაიპარა სამი ტყვიად ერთ-ერთი, რომელმაც დასახლებულ პუნქტს მიაღწია და დაახლოებით რუკა მიაწოდა „ამერიკელ სპეტრაზმს“. აჯანყებულებს კიდევ ორი მძევალი ჰყავთ. ამავე ბაზაზე ინახება აჯანყებულების იარაღი და ფული. „ამერიკის სპეტრაზმი“ შეადგენს ჯგუფს, რომელიც გადასხდება დასახლებულ პუნქტის ახლოს. „ამერიკელით“ მისიაა, გაიკვილონ გზა პუნქტამდე, გაათავისუფლონ მძევლები, განადგურონ შეიარაღება და ფულის ტომრები. მგრამ რადგან რამდენიმე დღის წინ მძევალი გაიქცა, „კოლუმბიელმა“ ბაზის დაცვა გაამკაცრეს.


სამხედრო ოპერაცია დაწყებულია. „კოლუმბიელის“ ბაზას და „ამერიკელის“ საწვის წერტილს რამდენიმე კილომეტრი ამორებს. ჩვენ „კოლუმბიელთა“ რიგებში ვართ. თავდაპირველად დახვეწავენ გაუმეცს ჩვენი ჯგუფები. ყოველ წუთს




იარაღების ფასები 150-დან 2.000 დოლარამდე მერყეობს.



საინჟინერო სამსახური




ასლ რამეს ვსწავლობთ: მიმიკას, ხელით მინიშებებს, სამხედრო ტერმინებსა და ქუედებს გამოცდილი მოთამაშებისა და მოქმედი სამხედრო პირებისგან. „კოლუმბიულების“ ჯგუფის ნაწილი დაზვერვაზე, მათ შორის ჩვენც. თავის მხრივ, დაზვერვაც გაყოფილია. დიდხანს ველოდებით მტერს, ვინიცობა გამოჩნდეს, ბაზას შევტყობინებთ რაციებით ან ხელსაყრელ შემთხვევაში პირდაპირ შეტყვაზე გადავლით. თუმცა, არც „ამერიკელები“ ჩამოვყრნენ, სწორად შერჩეული ტაქტიკის შემდეგობით (მაგრამ დიდი მოთმინების, ხანგრძლივი მარშის, მდინარეში წელამდე დგომის და ა.შ.) ავეცდნენ და ბაზას სამხრეთით მოადგნენ. ამასობაში, ჩვენი ჯგუფი დანარჩენების დასახმარებლად უკან ბრუნდება. ბაზაში სამი მნიშვნელოვანი პუნქტია, სხვადასხვა შენიბაშია იარაღი, ფული და მძველები. სტატიის ავტორებს იმ შენიბის დაცვა დაეკუვალა, სადაც ფული ინახებოდა. ეს იყო ყველაზე დაძახული მომენტო ჩვენივს. ამერიკელთა სპერაზში, ჩვენს მოთმინებას ცდიდა, საათობით ველოდით, რა მოხდებოდა. სიძაბილე ვითხნათ, ინტერესს კარგავდა საბრძოლო მოქმედება, რადგან დაზვერვაში ნაყოფიები ისე დაღლილები ვიყავით, რკინის ნერვები იყო საჭირო, კიდევ რამეზე კონცენტრირება



რომ მოვევხდინა. ნერვიულობა პიკს აღწევს, მოვალუნეთ ყურადღება, მაგრამ უცხად ორმა „კოლუმბიულმა“ შეპყვირა: – „მოგვედი, დაჭრილი ვარ!“ გვესმის ყვირილი: – „გაგემოფრეს, გადავედი იერიშზე!“ – და ბაზის მამართლებით სროლა ატყდა, თიანში ტყეები სეტყვასავით ცვივა, „ამერიკელი სპერაზის“ ნაწილი სწორედ ჩვენს გამაგრებულ პუნქტს უტყვს. თავის გაყოფაც სახიფათო და საშიშა, „ამერიკელები“ გაცილებით მეტნი არიან და შესაბამისად, ტყეებოც წვიმასავით მოემართება ჩვენკენ. ვცდილობთ, ვუპასუხოთ სროლით, მაგრამ „ამერიკელები“ ბუჩქებს ეფარებიან და ძნელია გარჩევა, ვინ სად დგას. ისმის ჩვენი გუნდლების შეძახილები: „დამჭრეს! ექიმი!“ „მოგვედი!“ და ა.შ. ეს კიდევ ამბავრებს სიტუაციას. „კოლუმბიულები“, რომლებიც საათობით ბუჩქებსა და ხე-

ტყეში ჩასაფრებული ველოდით მტერს, უკან ვიხევი, მაგრამ ბრიოლას არ ვიშობთ. არანაკლებ დაღლილი „ამერიკელები“ წინ მოიწვევენ. ჩვენს რაზმში გამოცდილი სამხედროები იბრძვიან (მაგრამ არა ჩვენ) და ეს დავეუხმბრა დაკარგული პოზიციების დაბრუნებაში. საბოლოოდ? საბოლოოდ გაისმა: „მეგობრობამ გაიმარჯვა!“ თუ გაეთვალისწინებთ იმას, რომ ომში გამარჯვებული არ არსებობს, ნათქვამი გამართლებულია, ეს ნუმბობით, ისე კი ყველანი კმაყოფილი ვართ. არ ვითვლით, ვინ რამდენი მოკლა, უბრალოდ, კარვად გავერთით. ზოგს სისხლი მოსდის სახეზე, ზოგს დაღურავები ატყს, ზოგს ფეხი ატყს ნატყვი, ბეჭვი წყალს ითხვავს, მაგრამ ყველა ბუნდირია. ვისაც მეტი გაინტერესებო, თავად გამოცადეთ ტყეის სიმწარე...  
